თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქ. თელავი

N 30 30-09-4-201908301412
30/08/2019

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №9 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნას ცვლილებები თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №9 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 05/03//3019, 010250020.35.163.016458):

1. **დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,, 4. საკრებულოში, ანაზღაურებად თანამდებობაზე მყოფ საკრებულოს წევრებს (საკრებულოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებს, ფრაქციათა თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს) შვებულების და მივლინების საკითხი წყდება ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.“

2. **დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,, 5. საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების მიერ განცხადების წარდგენის საფუძველზე, ანაზრაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებასა და მივლინებაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომრე, რომელიც ცნობად წარედგინება საკრებულოს სხდომას. თუ საკრებულოს სხდომამდე დიდი დროა დარჩენილი, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების შვებულების და მივლინების შესახებ გადაწყვეტილება ცნობის სახით წარედგინება საკრებულოს ბიუროს."

**3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,, 8. საკრებულოს თანამდებობის პირების (გარდა ფრაქციების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეებისა) მივლინების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, მათი შვებულებისათვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად."

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო